

၉၈၈၅၅၅

იტალო კალვინო

უბილაკი
ქალაქები

დიდგენის
ბიბლიოთეკა

იტალო კალვინო
უხილავი ქალაქები

Italo Calvino
LE CITTÀ INVISIBILI

იტალიურიდან თარგმნა დარეჯან კიკოლიაშვილმა

გარეკანზე: ვოტოს „ნმ. ფრანცისკი თავის მოსასხამს ჩუქნის უპოვარს“
(ფრაგმენტი)

© 2002, The Estate of Italo Calvino
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-868-5

www.diogene.ge

სარჩევი

...	I	9
ქალაქები და ხსოვნა. 1.		10
ქალაქები და ხსოვნა. 2.		11
ქალაქები და სურვილი. 1.		12
ქალაქები და ხსოვნა. 3.		13
ქალაქები და სურვილი. 2.		14
ქალაქები და ნიშნები. 1.		15
ქალაქები და ხსოვნა. 4.		17
ქალაქები და სურვილი. 3.		18
ქალაქები და ნიშნები. 2.		19
უცნაური ქალაქები. 1.		20
...		21
	II	
...		25
ქალაქები და ხსოვნა. 5.		28
ქალაქები და სურვილი. 4.		29
ქალაქები და ნიშნები. 3.		30
უცნაური ქალაქები. 2.		31
ქალაქები და ვაჭრობა. 1.		32
...		33
	III	
...		37
ქალაქები და სურვილი. 5.		39
ქალაქები და ნიშნები. 4.		40
უცნაური ქალაქები. 3.		42
ქალაქები და ვაჭრობა. 2.		44
ქალაქები და მზერა. 1.		45
...		46
	IV	
...		49
ქალაქები და ნიშნები. 5.		51
უცნაური ქალაქები. 4.		53
ქალაქები და ვაჭრობა. 3.		54
ქალაქები და მზერა. 2.		55
ქალაქები და სახელი. 1.		56
....		58

	V	
...		61
უცნაური ქალაქები. 5.		63
ქალაქები და ვაჭრობა. 4.		64
ქალაქები და მზერა. 3.		65
ქალაქები და სახელი. 2.		66
ქალაქები და მიცვალებულები. 1.		68
....		70
	VI	
...		73
ქალაქები და ვაჭრობა. 5.		75
ქალაქები და მზერა. 4.		77
ქალაქები და სახელი. 3.		79
ქალაქები და მიცვალებულები. 2.		80
ქალაქები და ცა. 1.		82
...		84
	VII	
...		87
ქალაქები და მზერა. 5.		89
ქალაქები და სახელი. 4.		90
ქალაქები და მიცვალებულები. 3.		93
ქალაქები და ცა. 2.		95
უსასრულო ქალაქები. 1.		97
...		99
	VIII	
...		103
ქალაქები და სახელი. 5.		106
ქალაქები და მიცვალებულები. 4.		108
ქალაქები და ცა. 3.		109
უსასრულო ქალაქები. 2.		110
ფარული ქალაქები. 1.		111
...		112
	IX	
...		115
ქალაქები და მიცვალებულები. 5.		119
ქალაქები და ცა. 4.		122
უსასრულო ქალაქები. 3.		123
ფარული ქალაქები. 2.		125
ქალაქები და ცა. 5.		127
უსასრულო ქალაქები. 4.		129
ფარული ქალაქები. 3.		131
უსასრულო ქალაქები. 5.		133
ფარული ქალაქები. 4.		135
ფარული ქალაქები. 5.		137
...		139

კაცმა არ იცის, ყუბილაი ყაენს ყველაფერი სჯერა თუ არა, რასაც მარკო პოლო ელჩობისას ნანახ ქალაქებზე უამბობს. ერთი კი ცხადია: თათართა იმპერატორი ახალგაზრდა ვენეციელს მეტი ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით უსმენს, ვიდრე საკუთარ შიკრიკებს ან მსტოვრებს. იმპერატორთა ცხოვრებაში არის ჟამი სევდისა და შვებისა, რომელიც დაპყრობილი ტერიტორიების უსასრულოდ მოგვრილ სიამაყეს მოჰყვება, რომ მალე ამ ტერიტორიების შეცნობასა და გაგებაზე ხელს ავიღებთ; რაღაც სიცარიელის შეგრძნებაა, საღამოს რომ გვეუფლება, წვიმით გალუმპული სპილოებისა და საცეცხლურში მინავლული სანდალოზის ნაცრის სუნთან ერთად; თავბრუსხვევაა, რომლის გამოც ირწვეიან დედამინის ჟღალ ზურგზე დატვიფრული მთები და მდინარეები, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით კეცავს გრაგნილებს, მტრის უკანასკნელი ჯარების ზედიზედ განადგურებას რომ გვატყობინებს და ლუქს ახსნის იმ მეფეთა გზავნილებს, რომელთა სახელებიც არასდროს გვსმენია და რომლებშიც ჩვენი უძლეველი ჯარის დახმარებას გვემუდარებიან, სანაცვლოდ კი ოქრო-ვერცხლის, ტყავეულის, კუს ბაკნების წლიურ გადასახადს აღგვითქვამენ: სასონარკვეთის ჟამია, რადგან ვხვდებით, რომ ეს იმპერია, ჩვენ რომ ყველანაირი საოცრების ნაკრები გვეგონა, უსასრულო და უფორმო ნანგრევია, მისი ხრწნილება მეტისმეტად მოდებულია, რომ ჩვენმა სამეფო კვერთხმა მისი შეჩერება შეძლოს, ვხვდებით, რომ მეტოქე ხელმწიფეთა ძლევამ მათი სამეფოების ხანგრძლივი დაკნინებაც გვარგუნა მემკვიდრეობად. დასაქცევად განწირულ გალავანსა და კოშკებს მიღმა ყუბილაი ყაენი მხოლოდ მარკო პოლოს მონათხრობში ახერხებდა, დაენახა ნაყმის უწვრილესი ფილიგრანი, რომელსაც მლილი ვერ დახრავდა.

ქალაქები და ხსოვნა. 1.

აქედან წასული კაცი თუ გეზს აღმოსავლეთით აიღებს, სამი დღის სავალზე მიადგება დიომირას, ქალაქს, სადაც ნახავს სამოც ვერცხლის გუმბათს, ღვთაებათა ბრინჯაოს ქანდაკებებს, კალით მოკირწყლულ ქუჩებს, ბროლის თეატრს, კოშკზე დასკუებულ ოქროს მამალს, რომელიც ყოველ სისხამ დილით ყვივს. ყველა ამ მშვენიერებას მოგზაური უკვე იცნობს, სხვაგანაც უნახავს. მაგრამ ამ ქალაქის თავისებურება ისაა, რომ, იმას, ვინც აქ სექტემბრის ერთ საღამოს ჩავა, როდესაც დღეები უკვე იკლებს და სასაუზმეების თავზე ერთბაშად ინთება ნაირფერადი ფარნები, სადღაც აივანზე კი ქალი ოხრავს: „ოოჰ!“, შურს მათი, ვინც ამწუთას ფიქრობს, რომ ამგვარი საღამო უკვე განუცდია და ბედნიერი იყო მაშინ.

ქალაქები და ხსოვნა. 2.

კაცს, რომელსაც დიდხანს უვლია უკაცრიელ ადგილებში, ქალაქის სურვილი ერევა. ის მიაღწევს ისიდორას, ქალაქს, სადაც სასახლეებს ხვეული კიბეები აქვთ, ზღვის ნიჟარებით ინკრუსტირებული, სადაც ჭოგრიტებსა და ვიოლინოებს ხელოვნების ნიმუშის მსგავსად ქმნიან, სადაც ისე ხდება, რომ, თუ აქ გავლით მყოფ კაცს ორ ქალს შორის არჩევანი გაუჭირდა, ყოველთვის მოიძებნება მესამე და სადაც მამლების ჩხუბი ფსონის დამდებთა სისხლიან აყალმაცალში გადადის ხოლმე. ამ ყველაფერზე მაშინ ფიქრობდა, როდესაც ქალაქი სურდა. ასე რომ, ისიდორა მისი ოცნების ქალაქია, ერთი განსხვავებით: ოცნების ქალაქში ის ახალგაზრდა იყო, ისიდორაში კი მხცოვანი ჩადის. მოედანზე მოხუცები სხედან და უმზერენ, როგორ მიდი-მოდის ახალგაზრდობა. ის მოხუცების რიგში ზის. სურვილები უკვე მოგონებებად ქცეულა.

ქალაქები და სურვილი. 1.

დოროთეაზე ორნაირად შეიძლება ვილაპარაკოთ: შეიძლება ვთქვათ, რომ ქალაქში მსუბუქი ლითონის ოთხი კოშკი თავს ადგას გალავანს, რომელსაც შვიდი კარიბჭე და თხრილზე გადებული ასანევი ხიდები აქვს; თხრილის წყალი კვებავს ოთხ მწვანე არხს, რომლებიც კვეთენ და ცხრა უბნად ყოფენ ქალაქს, ყოველ უბანში სამასი სახლით და შვიდასი საკვამურით, და თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი უბნის გასათხოვარი გოგონები სხვაუბნელ ბიჭებს მიჰყვებიან და მათი ოჯახები ერთმანეთს შორის ცვლიან საქონელს, რომლითაც ვაჭრობენ: ბერგამოტს, ზუთხის ქვირითს, ასტროლაბებს, ამეთვისტოს ქვებს, ამ მონაცემებზე დაყრდნობით ყველაფრის გაგებას შევძლებთ, რაც გვინტერესებს ქალაქის წარსულის, ანმეოს, მომავლის შესახებ; ან კიდევ, აქლემების მეპატრონის მსგავსად, რომელიც დოროთეამდე გამიძღვა, შეგვიძლია ვთქვათ: „აქ ჯერ კიდევ სრულიად ყმანვილი ჩამოვედი, ადრიანი დილა იყო, ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელიც ბაზრის მოედნისკენ მიიჩქაროდა, ქალები ილიმებოდნენ, მშვენიერ კბილებს აელვებდნენ და თვალბში ჯიქურ გიყურებდნენ, სცენაზე სამი ჯარისკაცი საყვირს უკრავდა, ირგვლივ ბორბლების ხმაურისგან ყურთასმენა აღარ იყო და ფერადი აფიშები ფრიალებდა. აქამდე უდაბნოსა და საქარავნო გზების მეტი არაფერი მენახა. იმ დღით დოროთეაში ვიგრძენი, რომ შემეძლო, ცხოვრების ყველა სიამე მეგემა. მომდევნო წლებში ისევ უდაბნოს სივრცეთა და საქარავნე გზების ქვრეტას მივეცი თავი; ახლა კი ვიცი, რომ ეს მხოლოდ ერთ-ერთია მრავალი გზიდან, დოროთეაში რომ გამოჩნდა იმ დღით ჩემ წინ“.

ქალაქები და ხსოვნა. 3.

ამაოდ დავშვრები, დიდო ყუბილაი, მაღალბასტიონებიანი ზაირას აღწერით. შემედლო, ზუსტად მეთქვა, რამდენი საფეხური აქვს კიბესავით აგებულ ქუჩებს, როგორი თაღები აქვს მის პორტიკებს, თუთიის როგორი ფურცლები ფარავს მის სახურავებს, მაგრამ ვხვდები, ისე გამოვა, თითქოს არაფერი მითქვამს. ქალაქი ეს არ არის, ქალაქი თავისი ზომებისა და თავისი წარსული ამბების ურთიერთშეფარდებაა: ლამპიონის სიმაღლე და ამ ლამპიონზე ჩამოხრჩობილი უზურპატორის ფეხებია; ლამპიონიდან მოპირდაპირე მოაჯირამდე გაჭიმული მავთული და დედოფლის მაცარიონის გზაზე დაკიდებული გირლანდებია; მოაჯირის სიმაღლე და ალიონზე ზედ გადავლებული მრუში კაცის ნახტომია; სანვიმარი მილის დახრილობა და კატაა, რომელიც ზღაზვნით ფანჯარაში მიძვრება; კონცხის მხრიდან მოულოდნელად გამომტყყვრალი გემიდან დამიზნებული ზარბაზნის სასროლი მანძილი და ჭურვია, რომელიც ამ სანვიმარ მილს ანგრევს; ნახვრეტებია სათევზაო ბადისა, რომელსაც ნავმისადგომზე ჩამომსხდარი სამი ბერიკაცი კემსავს და მესაედ უყვება ყველას ამბავს ზარბაზნიანი გემისა და უზურპატორისა, რომელიც თურმე დედოფლის უკანონო შვილი ყოფილა და სახვევებიანი მიუტოვებიათ იქვე, ნავმისადგომზე.

მოგონებების წიაღიდან აგორებული ამ ტალღით ქალაქი ღრუბელივით იყვინთება და იბერება. დღევანდელი ზაირას აღწერაში მისი მთელი წარსული უნდა იყოს ჩართული. მაგრამ ქალაქი არ ამხელს საკუთარ წარსულს, ის მასში ისეა ჩანერილი, როგორც ხელისგულზე ხაზები, ჩანერილია ქუჩის კუთხეებში, სარკმლის ცხაურებში, კიბის მოაჯირებში, მეხამრიდებში, დროშის ტარებში, ნაკანრების, ნახეთქების, ორნამენტების თითოეულ ხაზში.

ქალაქები და სურვილი. 2.

თუ კაცი სამხრეთისკენ დაუყვება, სამი დღის თავზე ანასტასიას გადაეყრება, კონცენტრული არხებით დაქსელილ ქალაქს, თავს ფრანები რომ დაფარფატებს. ახლა, წესით, ის საქონელი უნდა ჩამოგითვალო, რომელსაც აქ სარფიანად შეიძენ: აქატს, ონიქსს, ქრიზოპრასს და ქალცედონის სხვა ნაირსახეობებს; უნდა შევაქო ხობის ოქროსფერი ხორცი, რომელსაც აქ ალუბლის ფიჩხზე წვავენ და ბლომად თავშავას აყრიან; მოგიყვე ქალებზე, რომლებიც ბაღის აუზში ბანაობისას მინახავს და ზოგჯერ, ამბობენ, მგზავრსაც სთავაზობენ, ტანთ გაიხადოს და წყალში დაჭერობანა ეთამაშოს მათ. მაგრამ ამ ცნობებით ქალაქის ნამდვილ სულს ვერ გადმოგცემდი, რადგან, თუ მხოლოდ აღწერ, ქალაქი სურვილებს თითო-თითოდ აღვიძებს და იძულებული ხარ, ჩაიკლა ისინი, მაგრამ თუ ერთ დილით შუაგულ ანასტასიაში აღმოჩნდები, ყველა სურვილი ერთბაშად გაიღვიძებს და ალყაში მოგაქცევს. ქალაქი წარმოგიდგება, როგორც ერთი მთლიანი, სადაც ყველა სურვილი უნდა შესრულდეს და შენც ქალაქის ნაწილი ხდები, მაგრამ ვინაიდან ქალაქი ტკბება ყველაფრით, რითაც შენ ვერ ტკბები, ისლა შეგიძლია, მხოლოდ დასახლდე ამ სურვილში და ამით დაკმაყოფილდე. ასეთი თვისება, რომელსაც ზოგი კეთილად თვლის, ზოგი კი – ბოროტად, აქვს ანასტასიას, მზაკვარ ქალაქს: თუ დღეში რვა საათს აქატის, ონიქსის, ქრიზოპრასის მთელად მუშაობ, შენი ჯაფა, რომელიც ხორცს ასხამს სურვილს, ამ სურვილის ფორმას იღებს და გეჩვენება, რომ მთელი ანასტასიას წილ ტკბები, სინამდვილეში კი მხოლოდ მისი მონა ხარ.

ქალაქები და ნიშნები. 1.

დღე დღეს მისდევს და კაცი ქვებსა და ხეებს შორის მიაბიჯებს. თვალი იშვიათად ყოვნდება რალაცაზე და ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც სხვა რამის ნიშანს ხედავს: კვალი ქვიშაზე მიუთითებს, რომ ვეფხვს გაუვლია, გუბე წყლის ძარღვზე მიაინიშნებს, ჩინური ვარდი – ზამთრის დასასრულზე. სხვა დანარჩენი უტყვია და შეიძლება, სხვაში აგერიოს; ხეები და ქვები მხოლოდ ის არის, რაც არის.

ბოლოს და ბოლოს, გზა თამარში ჩაგიყვანს. კედლებზე უამრავი აბრაა. თვალი საგნებს კი არა, მათ გამოსახულებებს ხედავს, რომლებიც სხვა საგნებს აღნიშნავს: მარწუხი – კბილის დასტაქარს, სასმისი – დუქანს, ალებარდი – დაცვის რაზმს, ხელის სასწორი – ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრეს. ქანდაკებებსა და ფარებზე ლომები, დელფინები, კოშკები, ვარსკვლავებია გამოსახული: ნიშანი იმისა, რომ რალაცას – კაცმა არ იცის, რას – სიმბოლოდ ლომი, დელფინი, კოშკი ან ვარსკვლავი აურჩევია. სხვა ნიშნები გვაფრთხილებს, რომ გარკვეულ ადგილებში რალაც აკრძალულია: ამ მოსახვევში საზიდრებით შესვლა, ჯიხურის უკან მოშარდვა, ხიდიდან ანკესით თევზაობა და გვეუბნება იმასაც, რაც კანონით დაშვებულია: ზებრების დარწყულება, კოჭაობა, ახლობელთა კრემაცია. ტაძრების კარიდან მოჩანს ღვთაებების ქანდაკებები, ყოველი მათგანი საკუთარი ატრიბუტით არის გამოსახული – სიუხვის რქით, ქვიშის საათით, მედუზით, რითაც მორწმუნე მათ ცნობს და შესაბამის ლოცვას აღავლენს. თუ ნაგებობა აბრის ან ფიგურის გარეშეა, თვით მისი ფორმა ან ადგილმდებარეობა მიუთითებს მის დანიშნულებაზე: მეფის სასახლე, საპყრობილე, ზარაფხანა, პითაგორელთა სკოლა, საროსკიპო. ვაჭრებიც სხვა მნიშვნელობას ანიჭებენ დახლზე დაწყობილ საქონელს: შუბლის მოქარგული ლენტი დახვეწილობას ნიშნავს, მოოქროვილი ტახტრევანი – ძალაუფლებას, ავეროესის ტომები – სიბრძნეს, კოჭის სამკაული – ავხორცო-

ბას. თვალი ქუჩებს ისე კითხულობს, როგორც წიგნის ფურცლებს: ქალაქი გეუბნება ყველაფერს, რაც უნდა იფიქრო, გამეორებინებს თავის ნათქვამს და ტყუილად გგონია, ქალაქს ვათვალიერებო, შენ მხოლოდ იმ სახელებს იმახსოვრებ, რომლებსაც იგი საკუთარ თავს და თავის ყოველ ნაწილს არქმევს.

ისე დატოვებ თამარს, ვერ გაიგებ, როგორია ქალაქი სინამდვილეში ნიშანთა ამ გარსის ქვეშ, რას აჩვენებს და რას მალავს. გარეთ უდაბური მიწა გადაშლილა ჰორიზონტამდე, ცა ღრუბლებით დაფარულა. შემთხვევითობა და ქარი ფორმას აძლევს ღრუბლებს და კაცი ცდილობს ფიგურების გამოცნობას: იალქნიანი გემი, ხელი, სპილო...

ქალაქები და ხსოვნა. 4.

ექვსი მდინარისა და სამი მთაგრეხილის იქით ზორა აღმართულა, ქალაქი, რომელსაც ერთხელ თუ ნახავ, ველარასოდეს დაივინყებ. არა იმიტომ, რომ სხვა ღირსსახსოვარი ქალაქებივით რამე განსაკუთრებულ მოგონებას ტოვებდეს გულში. ზორას შეუძლია, მესხიერებაში ერთმანეთის მიყოლებით გააცოცხლოს ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი ქუჩის გასწვრივ, ყოველი კარი და ფანჯარა სახლებში, თუმცა მათში არაფერი იქნება განსაკუთრებულად მშვენიერი ან იშვიათი. ზორას საიდუმლო იმ მანერაშია, რომლითაც მზერა საგნიდან საგანზე გადადის; ისინი ერთმანეთს მიჰყვებიან, როგორც ნოტიები მუსიკალურ პარტიტურაში, სადაც ვერაფერს შეცვლი, ვერც ადგილს შეუცვლი. კაცი, რომელმაც ზორას ყოველი კუთხე-კუნჭული იცის, უძილო ღამით წარმოიდგენს, რომ მის ქუჩებში დადის და იხსენებს, როგორი მიმდევრობით მიჰყვება ერთმანეთს სპილენძის საათები, ზოლიანი ფარდა დალაქის სალონში, ცხრაჭავლიანი კოხტა შადრევანი, ასტრონომის მინის კოშკი, საზამთროს გამყიდველის ფარდული, განდეგილისა და ლომის ქანდაკება, თურქული აბანო, კაფე კუთხეში, ნავსადგურისკენ მიმავალი გვერდითი ქუჩა. ეს ქალაქი, მესხიერებიდან რომ არ ამოდის, ჩონჩხს თუ ცხაურს ჰგავს, რომლის უჯრებში ყველას იმის შენახვა შეუძლია, რის დახსომებაც სურს: გამოჩენილ ადამიანთა სახელების, სიქველეების, რიცხვების, მცენარეთა და მინერალთა სახელების, ბრძოლების თარიღების, თანავარსკვლავედების, საუბრის ნაწყვეტების. მას შეუძლია, ყოველი ცნება და ქალაქის თითოეული ნაწილი ერთმანეთს მსგავსების ან განსხვავების მიხედვით დაუკავშიროს, რომელიც მათი მყისიერი გაელვებისთვის გამოადგება მესხიერებას. ამგვარად, მსოფლიოში ყველაზე სწავლულები ისინი არიან, ვინც ზორას კუთხე-კუნჭული იცის.

მე კი სულ ტყუილად ვიარე ქალაქის სანახავად: იმის გამო, რომ აიძულეს, უცვლელი და მუდამ საკუთარი თავის მსგავსი დარჩენილიყო, რათა უკეთ ხსომებოდათ, ზორამ იდარდა, დაირღვა და გაქრა. დედამინამ დაივინყა ის.

ქალაქები და სურვილი. 3.

დესპინეს ორი გზით მიაღწევ: გემით ან აქლემით. ქალაქი სხვადასხვა სახით ეჩვენება ხმელეთითა და ზღვით მოსულს.

ზეგნის ჰორიზონტზე ცათამბჯენთა ნვეტების, რადარის ანტიენების, ქარით აფრიალებული თეთრი და ნითელი სახელოების, საკვამურიდან ამობოლქვილი კვამლის დანახვისთანავე მექარავენს გემი ახსენდება; კარგად იცის, რომ ქალაქია, მაგრამ მაინც გემი ჰგონია, რომელიც უდაბნოდან თავს დააღწევინებს, იალქნიანი გემი, რომელიც საცაა ლუზას ამოსწევს და ქარი უკვე ბერავს ჯერ ისევ შეკრულ იალქნებს; ან ორთქლის საქვაბე ახსენდება, რომელიც ტრიუმში გუგუნებს და ფიქრობს ყველა ნავსადგურზე, ზღვის იქითა ქვეყნების საქონელზე, რომელსაც ამნეები ნაპირზე ტვირთავენ, დუქნებზე, სადაც სხვადასხვა ქვეყნის დროშებით თავმომწონე ეკიპაჟები ერთმანეთს ბოთლებს ამსხვრევენ თავზე, ფიქრობს პირველი სართულის განათებულ ფანჯრებზე, სადაც ქალები ჩანან, რომლებიც თმას ივარცხნიან.

სანაპიროს ბურუსში მეზღვაური არჩევს აქლემის კუზის მსგავს ფორმას, ბრწყვიალა ფორებით მორთულ უნაგირს ორ დაკოპლილ კუზს შორის, ტაატით რომ მოინწევს წინ. იცის, რომ ქალაქია, მაგრამ მაინც აქლემად წარმოიდგენს, აქეთ-იქით დაკიდებული ტიკებით და დაშაქრული ხილით, ფინიკის ღვინით, თამბაქოს ფოთლებით სავსე ხურჯინებით; საკუთარ თავს უკვე ხედავს გრძელი ქარავენის თავში, რომელსაც იგი ზღვის უდაბნოდან მტკნარი წყლის ოაზისისკენ გაჰყავს, პალმების დაკბილულ ჩრდილში, კირის დულაბიანი სქელკედლებიანი სასახლეებისკენ, სადაც ეზოს ფილაქანზე ფეხშიშველი ქალები როკავენ და მკლავებს ხან მანდილის შიგნით და ხან გარეთ ნარნარად არხევენ.

ყოველი ქალაქი ფორმას იღებს უდაბნოსგან, რომელსაც უძალიანდება; და მექარავენე და მეზღვაური ასე ხედავენ დესპინეს – ორ უდაბნოს შორის მდებარე ქალაქს.

ქალაქები და ნიშნები. 2.

ქალაქ ზირმიდან დაბრუნებულ მოგზაურებს სრულიად სხვადასხვა რამ აგონდებათ: ბრბოში გარეული უსინათლო მყვირალა ზანგი, ცათამბჯენის ლავგარდანიდან გადმოყუდებული გიჟი, გოგონა, რომელიც საყელურიან ავაზასთან ერთად დასეირნობს. მართლაც, ბევრი ბრმა, რომლებიც ზირმაში ქვაფენილზე ჯოხის კაკუნით დადიან, ზანგია, ყოველ ცათამბჯენში ვილაც გიჟდება, ყველა გიჟი საათობით დგას ლავგარდანზე და არ არსებობს ავაზა, რომელსაც რომელიმე გოგონას ახირებით არ გაწვრთნიან. ქალაქი ყველაფერს განუწყვეტლივ იმეორებს, რათა რაღაც მაინც შერჩეს გონებას.

მეც ზირმიდან ვბრუნდები: ჩემი მოგონება ინახავს დირიჟაბლებს, ფანჯრის სიმაღლეზე რომ დაქრიან აქეთ-იქით, სალონების ქუჩას, სადაც მეზღვაურებს სვირინგებს ახატავენ, სიცხით დაოსებულნი, გოდორა ქალებით გატენილ მინისქვეშა მატარებლებს. ჩემი თანამგზავრები კი იფიცებიან, რომ ერთი დირიჟაბლის მეტი არ უნახავთ, ქალაქის კოშკების ნვეტებს შორის რომ დალივილივებს, არც სვირინგის ერთადერთ ოსტატზე მეტი, ნემსებს, მელანს და ტრაფარეტებს მერხზე რომ აწყობდა, არც ერთადერთი ზონზროხა ქალის გარდა, ვაგონის პლატფორმაზე მარათი რომ ინიავებდა. მესხიერება განუწყვეტლივ იმეორებს ნიშნებს, რათა ქალაქმა არსებობა დაიწყოს.

უცნაური ქალაქები. 1.

ვარაუდობენ, რომ იზაურა, ათასი წის ქალაქი, მინისქვეშა ღრმა ტბაზე დგას. სადაც კი მცხოვრებლებს ღრმა ვერტიკალური ხვრელი გაუთხრიათ და წყლამდე მიუღწევიათ, ქალაქიც იქამდე გაშენებულია და ამ საზღვარს არ გასცილებია: მისი მწვანედ მოღალანე შემოგარენი დამარხული ტბის ბნელ სანაპიროს იმეორებს, უხილავი პეიზაჟი განსაზღვრავს ხილულს, ყველაფერი, რაც მზის ქვეშ მოძრაობს, კირქვეული ცის ქვეშ გამომწყვდეული ტალღის ცემით აღიძვრება.

შესაბამისად, იზაურაში ორგვარ რელიგიას მისდევენ. ზოგიერთების აზრით, ქალაქის ღმერთები სიღრმეში სახლობენ, შავ ტბაში, რომლითაც მინისქვეშა წყლის ძარღვები საზრდოობს. სხვათა აზრით კი, ღმერთები თოკზე გამობმულ სათლებში ბინადრობენ, რომლებითაც წყიდან წყალი ამოაქვთ, მბრუნავ ჭოჭონაქებში, წყლის ბორბლის ღერძებში, ტუმბოებში, ქარის ნისქვილის ფრთებში, ჭაბურღილიდან წყალს რომ ქაჩავს, ამწეს კოშკურაში, მიხრახნილ ზონდებს რომ იჭერს, სახურავებს ზემოთ ოჩოფეხებზე შემოდგმულ ბაკებში, აკვედუკის ვინრო თალებში, აღმავალი წყლის ყველა სვეტში, ვერტიკალურ მილებში, წყლის ამწევ-დამწევ ლილვებში, ჭარბი წყლის სადინარებში, მთლიანად ზემოთ მისწრაფებული ქალაქის – იზაურას – ჰაეროვანი კონსტრუქციების თავზე დამაგრებულ ფლუგერებში.